# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

სამშაბათი 19 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის სამიქის ქარხნის ჭიშკართან შესახვევში, სახლი ოცხელის.
ტელეფონი № 4.

№ 132 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 132



სიმონ, დავით და გიორგი არხიპოს ძე ჯანელიძეები და დები მათი: ნინო, კატო, ანიუტა, სოფიო და ქრისტინა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას უსაყვარლესი დედის

**ელისაბედ დიმიტრის ასულის ჯანელიძისას**

გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათს, 19 მარიობისთვეს, ნაშუადღევის სამ საათზე, სოფ. თერჯოლაში. პანაშვიდი ყოველდღე.



აზნაური გრიგოლ, ექიმები კონსტანტინე (იგივე გულა) და სიმონ ალექსანდრეს ძენი ჩიქოვანები და დანი ამათნი: ნინო, ეკატერინე და ეფემია (იგივე დადუ), სიძეები: თ-დი დომენტი ფარნაოზის ძე ნიჟარაძე, და აზნაური სპირიდონი ონისიმეს ძე მგალობლიშვილი შვილებითურთ, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი ძვირფასის დედისას, მეორენი სიდედრის, ხოლო მესამენი ბებიის

**ქეთევან ალექსანდრეს ასულის ჩიქოვანისას**

გამოსვენება დანიშნულია ოთხშაბათს, 20 მარიამობისთვეს, დილის 9 საათზე, მესხეთის ქ., ელიზბარ ჩიქოვანის სახლიდან. ცხედარს წამოასვენებენ ს. ხუნწში და დაასაფლავებენ 22 მარიამობისთვეს, პარასკევს, ნაშუადღევის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე.



## ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი საკუთარი გამოცემები:

„მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. 1 აბაზი
„ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა . . ფ. 1 აბაზი
„ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა 2 შაური (ყდით 3 შაური)
„შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის . . . 3 კაპ.
„ქართული მოძრავი ანბანი“ . . 2 შაური (კარდონზე 10 შაური)

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.


## მოწოდება.

### ქუთაისის ქალაქის მოურავისა

მოულოდნელი უბედურება დაგვატყდა თავზე. ღვთის რისხვად მოევლინა ქვეყნიერებას ომი, ისეთივე საზარელი, როგორც ჟამი, მიწის ძვრა და წარღვნა. თავისუფალი, მშვიდობიანი ცხოვრების დენა ერთიანად დაირღვა, აირია.

ჩვენი პატარა ქვეყანა, ისედაც სუსტი და გაჭივრებული, ომიანობის დრომ უკიდურესს მდგომარეობაში ჩააყენა.

ჩვენს გაღატაკებულს ოჯახებს ომიანობამ მოგლიჯა გულიდან ერთად-ერთი მისი მარჩენალი, მისი ქირისუფალი.

ჯარის კაცებათ ომში გაწვეული ჩვენი ძმები და შვილები სისხლს ანთხევენ მშვიდობიანობის, ჩვენი არსებობის დასაცავად. ასეთი ფასდაუდებელი მსხვერპლი ჩვენგანაც მოითხოვს შესაფერ მსხვერპლს.

საძრახისი, სამარცხვინო იქნება ჩვენთვის, რომ ჩვენი უყურადღებობის მიზეზით დაიმშეს ცოლ-შვილი და დედ-მამა ანაბარად მიტოვებულ ომში გაწვეულ ჯარის კაცებისა.

მოქალაქენო! თქვენთვის თავდადებული მოძმეთა ოჯახები მოითხოვენ თქვენგან ნივთიერ დახმარებას და თქვენც დაუყონებლივ უნდა აღმოუჩინოთ იგი.

მიეშველენით, რითაც შეგიძლიათ: ფულით, ნივთით, საქონლით, სანოვაგით; შეწირულების სიმცირეს ნუ მოერიდებით, ყველაფერი მადლობით მიიღება, მხოლოდ უპირატესობა ეძლევა ფულის შეწირვას.

საქონელთაგან სასურველია შემოიწირონ: კაცის უხმარი თეთრეული, საბანი, ფუფაიკა, ყაბალახი, ტილო, მიტკალი, ცხვირსახოცი, წუღები, წინდები და სხვ.

სანოვაგეთაგან: ჩაი, შაქარი, კონიაკი, ღვინო, კონსერვი, გალეტი, სუხარი, კრუპა, შოკოლადი, კაკაო, საპონი, თუთუნი, პაპიროსი, გიდროსკოპიული ბამბა, მარლე, ტერმომეტრები და სხვ. ისეთი სანოვაგე, რომელიც მალე ფუჭდება, არ მიიღება.

შეწირულება უნდა გამოეგზავნოს ქუთაისის ქალაქის გამგეობაში განსაკუთრებულ კომიტეტს, რომელიც მოქმედობს ჩემის თავმჯდომარეობით.

შემწირველთა ვინაობა და შეწირულების რაოდენობა დაუყონებლივ გამოცხადდება გაზეთში.

ქუთაისის ქალაქის მოურავი **ილ. ჩიქოვანი.**


## უდიდესი

სპეციალური წიგნის მაღაზია და წიგნის საწყობი

ქ. ქუთაისში

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა და ამხ.**

დამზადებულია დიდ-ძალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები საშუალო და დაბალ სასწავლებელთათვის. პროვინციის წიგნის მაღაზიებსა, სახალხო შკოლებსა, ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებს შარშანდელივით ეთმობათ წიგნები მეტად სალავათიან პირობებში.

წიგნის მაღაზიას გახსნილი აქვს საკუთარი საკაზმავი სახელოსნო. ამის გამო მას ეძლევა საშუალება, რომ ზოგიერთი წიგნის ყდა დაუთმოს ჩვეულებრივ ფასზე უფრო ნაკლებ.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია სპეციალური საკანცელარიო მაღაზია **დ. ი. ოცხელისა**, რომელსაც მიღებული აქვს საქონელი პირდაპირ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილ ფირმებისგან და ამიტომ ყოველგვარი სასწავლო და საკანცელარიო ნივთი ამ მაღაზიაში იყიდება ძლიერ იაფათ. აქვე გახსნილია რვეულების საკეთებელი საკუთარი სახელოსნო, რის გამოც მაღაზიას შეუძლია რვეულები იქონიოს უკლებლივ და გაყიდოს ზომიერ ფასათ.

**კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემები:**

1. ყუბანეიშვილი. პირველ დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . . . ფასი 6 შაური.
2. ქვარიანი. საქართველოს მოკლე ისტორია . „ 2 აბაზი.
3. ნიკოლაიშვილი. მოკლე ქართული გრამატიკა . „ 1 „
4. არითმეტიკული კრებული, შედგ. ქუთ. სააზნ. შკოლის მასწ. ჯგუფის მიერ სურათებით . . . „ 7 შაური.
5. „ცხოვრება და მეცნიერება“. (ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ნაწარმ. კრებული) . „ 1 მან.
6. უზნაძე. მაჰმადი . . . . . . „ 3 შაური.
7. მისივე. ისლამი. . . , . . . „ 3 „
8. მოძრავი ანბანი . . . . . . „ 2 „
9. იგივე კარდონზე . . . . . „ 6 „

აქვე საწყობშია შემდეგი გამოცემანი, რომელთაც მაღაზია ყიდის იმავე დათმობით, როგორც საკუთარს გამოცემას:

1. „გუთანი“. ქართული სახელმძღვანელო . . ფ. 17 შაურ.
2. ხუნდაძე. გრამატიკა . . . . . . „ 3 აბაზი.
3. მისივე მოკლე გრამატიკა . . . . . „ 1 „
4. ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა . . . . „ 10 შ.
5. მღ. ა. გერსამია. ლოცვანი . . . . . „ 2 „.
6. ალ. ჭიჭინაძე. გეოგრაფია . . . . „ 3 აბ.
7. დათეშიძე. ქართული წერის დედანი. . . „ 5 შ.
8. ფ. ქორიძის მიერ გადაღებული საგალობლების ნოტები სხვადასხვა ფასისა.
9. კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-19 საუკ. ქართული ლიტერ. 2 ნაწილი. თითო ნაწილი . . . . „ 14 შ.
10. ალ. ხახანაშვილი. ბატონყმობა საქართველოში. „ 10 „
11. შექსპირი. გადმოღებული ყმაწვილთათვის ს. ყიფიანის მიერ . . . . . . . . „ 1 აბ.

იბეჭდება ახალი გამოცემები: შიო მღვიმელის ლექსთა კრებული, გ. იოსელიანის მიერ ყრმათათვის გადმოღებული „ვეფხის ტყაოსანი“, ალ. ჯ—ძის ეროვნული შემოქმედება, ქართული ანბანი, შედგ. „გუთნის“ ავტორების მიერ. ახალი რუსული ენის სახელმძღვანელო. გ. წერეთლის მამიდა ასმათი და რუხი მგელი, სამაგალითო სამზარეულო და სხვა.



## მინადორა დუნდუას

ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი,

## გადავიდა

**ბალახვანის ქუჩაზე, იოსებ ბაქრაძის სახლებში.** ბავშების მიღება დაიწყება 25 აგვისტოდან. წელს იხსნება 4-ხე კლასი. აქვე არის გახსნილი საანბანო განყოფილებაც. ნახვა შეიძლება მოსალაპარაკებლათ დილის 9 სათ. -2 საათ.



## შექსპირი ქართულად!

გამოცემა **ივანე** მაჩაბლის თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

## შექსპირის

რვა ტრაღედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიო კეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოსცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა საძნელოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველ** с შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს—1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში**: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ“-ში გამომცემელი **კნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**


**დამეკარგა ატესტატი 471,**

ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში.


**ექიმი** ი. ა. ცეხანოვსკი გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5— 8 საათ.



**ექიმი** გრიგოლ ალშიბაია უკვე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას ძველ ბინაზე.

**ექიმი** მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

**ელექტრონის და სინათლის სამკურნალო კაბინეტი**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელისა** შინაგანი, ნერვების და ვენერიული ავათმყოფთათვის. ავადმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** ვ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

**ექიმი** გ. დ. ნასარიძე დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბოვშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

**ქ. ქუთაისში**

კბილის ექიმი

## ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

**ტელეფონი 153.**

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. ზ. მოსეშვილი ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.



# სრულიად ევროპის ომი

## დეპეშები

პეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

**კოპენჰაგენი.** 16 აგვისტო. როგორც დანიის ელჩი ნიუკასტლი იტყობინება, სამ-ანძიანი გემი „გეია“, რომელიც სვენდობორგის ნავთსადგურშიიყო ჩარიცხული, ზუნდერლანდთან ნაღმს წააწყდა და დაიღუპა. ნორვეგიის ვიცეკონსული სოუტი-შილდე დეპეშით იტყობინება: გემი „გოფლიდი“ მდინარე ტაინას შესართავიდან 27 მილის მანძილზე ნაღმს წააწყდა და დაიღუპა, დაიხჩო 8 კაცი.

**ლონდონი.** ლორდთა პალატაში კიტჩენერმა განაცხადა, საჩქაროთ უნდა შეივსოს საფრანგეთში მომქმედ ინგლისის ჯარის დანაკლისიო. გასაგზავნათ უკვე მზად არის 12000 კაციო.

**პეტერბურგი.** ცეპელინმა ყუმბარები დაუშინა სადგურ მლავას, მოწინაალმდეგებმაც სროლა დაუწყეს, რის შემდეგაც ცეპელინი ძირს ჩამოვარდა. ზედ იყო რვა ჯარის კაცი, ორი ტყვიის მფრქვეველი და ასაფეთქებელი მასალა.

**ლონდონი.** 15 აგვისტო. ბეჭვდითი სიტყვის ბიურომ გამოაცხადა ბელგიის სამინისტროს ცნობა, რომ სამშაბათს ბელგიელებმა დაამარცხეს გერმანელთა ერთი კორპუსი, რომელმაც ლუვენისკენ დაიხია. გერმანელთა რაზმებმა, რომლებიც ქალაქის შესავალს იცავდენ, სროლა დაუწყეს თავისავე ჯარებს, რომლებიც ბელგიელები ეგონათ. ბოლოს გერმანელები ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ კი არა, ლუვენის მცხოვრებლები ესროდნენო, მიუხედავათ იმისა, რომ ყველა მცხოვრებლებს ერთი კვირის წინეთ იარაღი აჰყარეს. გამოუძიებლათ გერმანელთა ჯარების უფროსმა გამოაცხადა, რომ ქალაქს დაუყოვნებლივ დაანგრევენ. მცხოვრებლებს ნაბძანები აქვთ დასტოვონ ქალაქი. მამაკაცები ციხეში ჩასხეს. ქალები და ბავშვები არავინ იცის, სად წაიყვანეს. ამის შემდეგ ჯარის კაცებმა ლუვენის წმ. პეტრეს ტაძარს ყველა მხრიდგან ცეცხლი წაუკიდეს. დასწვეს აგრეთვე უნივერსიტეტის სამკითხველო და სამეცნიერო დაწესებულებანი. რამდენიმე მოქალაქე დახვრიტეს. ერთი სიტყვით იმ ქალაქიდან, რომელშიაც 45,000 მცხოვრები ირიცხებოდა და რომელიც მე 15 საუკუნიდან კულტურულ ქვეყნის ცენტრათ ითვლებოდა, მხოლოდ ფერფლი ლა დარჩა.

**პარიზი.** მთავრობამ გამოაქვეყნა, რომ გერმანელთა ჯარებს ბელგიელები, ინგლისელები და ფრანგები შეურყევლათ ეწინააღმდეგებიან. დიდება ცოცხლებსა და ომში დახოცილ მეომრებს. ჩვენი ერი განაგრძობს ბრძოლას, მიუხედავათ იმისა, როგორიც უნდა იყოს მისი ბოლო. „ფრანგებო, ჩვენ უნდა განვდევნოთ თავხედურათ შემოჭრილი მტერი, დავიფაროთ ჩვენი მიწა და დავრჩეთ ჩვენივე ბედ-იღბლის გამგეთ. ვიყოთ მედგარნი, გაბედულნი, დიადი რწმენით შევხვდეთ ჩვენს მომავალს, დავივიწყოთ ყოველივე, გარდა ჩვენი სამშობლოისა, მივაპყროთ თვალი ჩვენს საზღვრებს და თუ ამასთან ჩვენ გვექნება შეურყეველი ნება, მაშინ ისტორიაც ჩვენს მხარეზე იქნება“.

**პარიზი.** 16 აგვისტო. მთელ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. გერმანელების მოძრაობა საგრძნობლათ შეჩერებულია. ორთავ მხრიდან, სადაც გერმანელები ბატონობენ, თხუთმეტი დღის ბრძოლის შემდეგ, მტრის დანაკლისი, მეტათ საგრძნობელია. მაგალ. 12 და 124 პოლკები შეერთებული არიან ერთ პოლკათ.

**ლონდონი.** 14 აგვისტო. ბეჭვდითი სიტყვის ბიურომ გამოაქვეყნა, რომ დილით ადრე ინგლისის ფლოტმა გერმანელთა წინააღმდეგ მოხერხებული მოქმედება დაიწყო. გელგოლანდის ყურეში მჩატე და დიდი ჯავშნოსნებით გამაგრებული ძლიერი რაზმი ნაღმოსანთა მოეწია გერმანელების კრეისერებს, რომლებიც გერმანიის ნაპირებზე შემოსავალს იცავდნენ. ინგლისის ნაღმოსნებმა საშინელი. ბრძოლა გამოუცხადეს მტრის ნაღმოსნებს, ინგლისის გემები დაუზიანებლათ დაბრუნდნენ. გერმანელებს ორი ნაღმოსანი დაუძირეს და ბევრი დაუზიანეს. ინგლისის კრეისერებმა იერიში მიიტანეს მტრის კრეისრების რაზმზე. ინგლისის მჩატე კრეისერმა გერმანიის კრეისერი „მაინც“-ი დასძირა, თითონ კი ცოტათი დაზიანდა. კრეისერების ესკადრამ დასძირა გერმანიის კრეისერი „კელნის“ ტიპისა. გერმანიის მეორე კრეისერს ცეცხლი გაუჩნდა და ჩაიძირა. ინგლისის არცერთი გემი სერიოზულათ არ დაზარალებულა. გემებზე მოკლულთა რიცხვიც უმნიშვნელოა.

**პეტერბურგი.** 16 აგვისტო. (დასასრული). ამ ჯარებისა და ცრუ ხმების უარისყოფას საგენერალო შტაბის მთავარი გამგეობა ზედმეტათაც კი სთვლის, ვინაიდან ნამდვილი მდგომარეობა ბრძოლის ველზე, როგორც გერმანელთა, ისე ავსტრო-უნგრეთის წინააღმდეგ, თვალსაჩინოთ ჰყოფს თუ რა ჯურისა და რამდენათ მართალია ჩვენი მტრების საგენერალო შტაბებისა და მათ მოსამსახურე სააგენტო „ვოლფისაგან“ გავრცელებული ჭორები. ჩვენი უმაღლესი მთავარსადლის შტაბი იმ ფარგლებში, რომ დარღვეულ არ იქნას სტრატეგიული მოსაზრებანი, ყოველდღე ზედმიწევნითა და უნაკლოდ გვაწოდებს ხოლმე ცნობებს ჩვენის ჯარების გმირობის შესახებ, იმ ჯარებისა, რომელნიც დიდის ძლევამოსილებით მიიბრძვიან აღმოსავლეთ პრუსიაში.

**პეტერბურგი.** 16 აგვისტო. რეველიდან აქ მოყვანილი ორი აფიცერი და გერმანიის დაღუპულ გემის „მაგდებურგის“ კაპიტანი პეტრე-პავლეს ციხეში მოათავსეს.

**პეტერბურგი.** 16 აგვისტო. ინგლისის მთავრობამ შემდეგი ცნობა გამოაქვეყნა: საფრანგეთის ჯარების ბრძოლის ველზე, რომელიც თითქმის 250 ინგლისულ მილზეა გაჭიმული, ასეთი ცვლილება მოხდა: ჩვენი ჯარების ორთავე ფრთას, რომელსაც იფარავს საფრანგეთის ჯარი, ამ ჟამად დიდათ გამაგრებული ადგილი უჭირავსო და მზადაც არიან ეკვეთნენ გერმანელების თავდასხმას. სულიერი განწყობილება ორივე ჯარისა ჩინებულია.

**ვაშინგტონი.** 16 აგვისტო. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ იაპონიის ორმა ჯავშნოსანმა ცინდაოს სიმაგრეებს პირველი სროლა აუტეხაო.

**ვაშინგტონი.** ვაშინგტონში მყოფმა ბელგიის ელჩმა ამერიკის შტატების მთავრობას ფორმალური პროტესტი განუცხადა ლუვენის გადაწვის შესახებ. ასეთი მოქმედება საერთაშორისო უფლებისა და ჰუმანიურ პრინციპების ცხადი დარღვევააო.

**კოპენჰაგენი.** „ცენტრალ ნიუ“ა დეპეშით აუწყებენ ანტვერპენიდან, რომ ნამიურის ციხის თხრილებში ათასი მოკლული გერმანელი ნახესო.

**ლონდონი.** 16 აგვისტო. მას შემდეგ, რაც ჩრდილო ზღვაში გერმანიის ფლოტმა მარცხი განიცადა, ჰფიქრობენ, რომ ფლოტი ნაღმების ჩაწყობას ვეღარ მოახერხებს და, ამ გვარად, ნეიტრალურ სახელმწიფოთა საზღვაო ვაჭრობას ხელს ვეღარ შეუშლისო. ანტვერპენიდან დეპეშით იუწყებიან რომ, ქალაქი მალინი, რომელსაც გერმანელებმა ზარბაზნები დაუშინეს, მცხოვრებლებმა სულ მთლად დასცალეს. ქალაქში აღარც გერმანელები არიან.

**პარიზი.** პოლიციის პრეფექტმა წინადადება მისცა გაზეთებს დღე და ღამეში ერთი გამოცემის მეტი არ გამოუშვან.

**კოპენჰაგენი.** ლონდონიდგან იუწყებიან, რომ აქ მოვიდა დანიის დაზიანებული გემი „ბრეტლანდი“, რომელიც ჩრდილო ზღვაში ნაღმს წააწყდაო.

**ოდესსა.** კონსტანტინოპოლიდგან იუწყებიან, რომ ჯავშნოსან გემებს, „გებენსა“ და „ბრესლაუს“ რამდენიმე ასი მუშა ახვევია შესაკეთებლად გემებს დაზიანებული აქვთ ქვაბები და ცეცხლის შესანთობები. სტამბოლის პირდაპირ დიდ ზარბაზნებს სდგამენ დარდანელის ზღვის სასროლათ. იტალიისა და ამერიკის სტანციონერებმა უარი სთქვეს უმავთულო ტელეგრაფის აპარატების მოხსნაზე. ოსმალეთის მიერ გამოწვეულ ჯარისკაცების უმეტეს ნაწილს თავისი საკუთარი ტანისამოსი აცვია, რადგანაც სახელმწიფო ტანისამოსი ვერ დაურიგეს ფრაკიაში. ფრაკიაში თითოეულ ჯარის კაცს დღეს მხოლოდ პაწია კვერს (გალეტს) აძლევენ. დაიწყო ძარცვა-გლეჯა მცხოვრებლებისა. უცხო სახელმწიფოთა სავაჭრო პალატებმა საჩივარი აღძრეს ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ, რადგანაც ამ მთავრობამ კონფისკაცია უყო მათ საწყობებს: ფქვილისას, შაქრისას, ყავისას და სხვა სანოვაგისას. მთელ ოსმალეთში ჩინებული მოსავალია, მაგრამ ყანები მოუვლელი რჩება.

**ლონდონი.** 16 აგვისტო. ოსტენდედან გამოქცეულები დაწვრილებით გადმოგვცემენ გერმანელთაგან ნამიურის აღების ამბებს. ქალაქს ზარბაზნები 7 აგვისტოს დაუშინეს. მცხოვრებლები ჯერ მშვიდათ იყვნენ, მაგრამ მერე კი სამხედრო მთავრობამ საჭიროდ დაინახა, რომ მცხოვრებლებს ქალაქი მიეტოვებინათ. ყველაზე დიდი ზარალი ციტადელს მოუვიდა. დაზარალდა აგრეთვე უმავთულო ტელეგრაფის სადგურიც, სადაც მუშაობს განაგრძობდენ იმ დრომდე, ვიდრე მეციხოვნეთ ნამიური არ დასტოვეს. თვით ქალაქი იმდენად არ დაზარალებულა. დაანგრიეს ორი სიმაგრე, დანარჩენი კი ისევ მთელია.

**ლონდონი.** იუწყებიან ტურნესთან მომხდარ საკვირველ ბრძოლის დაწვრილებითი ცნობებს. 700 კაცისაგან შემდგარი ინგლისელ ქვეითა ჯარისკაცთა რაზმი მაშველთა მოლოდინში მთელი დღე მამაცურად იგერიებდა 5000 გერმანელ ულანთა იერიშს, მაგრამ ბოლოს მწყობრად უკან დაიხია. გაზეთები იუწყებიან, რომ ტყვიისმფრქვეველთა დასამაგრებლათ გერმანელები წითელი ჯვრის ურმებს ხმარობენო. იუწყებიან აგრეთვე, რომ ნამიურს გერმანელებმა ოცდა ერთ დიუმიანი ზარბაზნები დაუშინესო. სროლის რაიონი თორმეტ ინგლისურ მილს უდრიდა. ეს ზარბაზნები უკანასკნელი გამოგონებაა კრუპპის ქარხნებისა და აქამდე საიდუმლოდ ინახავდენო.

**პეტერბურგი.** 17 აგვისტო. განცხადება უმაღლესის მთავარსარდლისა: ავსტრიელების წინააღმდეგ ჩვენის ჯარების სამოქმედო რაიონში შეამჩნიეს, რომ ავსტრიელებთან ერთად მოქმედებენ გალიციელ და პოლონელ შევარდენთა ორგანიზაციები, რომელნიც ამავე დროს ხმარობენ ასაფეთქებელ ტყვიებს. როცა მე მივმართე საზღვარ-გარეთ მცხოვრებ პოლონელებს და ვაუწყე ძმური სიყვარული ჩვენის ჯარებისა, მე დარწმუნებული ვიყავ ჩვენის ურთიერთობის ლოიალობაში.

მე, ერთი წუთითაც არ მინდა ვიფიქრო, რომ პოლონეთის მცხოვრებლებს რაიმე იმედი ქონდეთ დიდის რუსეთის დიდსულოვნობისა იმ დროს, როცა ისინი ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ და მერე ისეთი უღირსი საშუალებით, როგორიც არის ბოლო წაჭრილ-ასაფეთქებელ ტყვიების ხმარება. ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული ამბავი მხოლოდ შემთხვევითი მოვლენაა. საზღვარ-გარეთ მცხოვრებლებ პოლონელთა საყურადღებოთ, მე ვუბრძანე ჩემდამო უმაღლესად რწმუნებულ ჯარს, რომ შევარდენთა და სხვა მსგავსი ორგანიზაციები არ ითვლებიან მებრძოლ მხარეთ; და როდესაც რომელიმე მონაწილეთაგანი ამ ორგანიზაციებისა ტყვეთ ჩაგვივარდება, მოექცენ მას სამხედრო დროის კანონების სრულის სიმკაცრით. ხელს აწერს გენერალ-ადიუტანტი

**ნიკოლოზი.**

11 აგვისტო 1914 წ.

**პეტერბურგი.** 16 აგვისტო. უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბიდან. აღმოსავლეთ პრუსიაში იბრძვიან ტორნისა და გრაუდენცის მეციხოვნეთა რაზმები.

მათ ეშველება მრავალ რიცხოვანი მძიმე არტილერია. ჩვენი წინსვლა ამ ფრონტზე მეტის თავ გამოდებით გრძელდება. კელეცის გუბერნიაში მყოფი ავსტრიელთა ჯარები ვისლის მარჯვენა ნაპირებზე გადადიან, რომ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღონ. ლვოვის აღმოსავლეთით ტყვეთ წაყვანილ იქნა 3000 კაცი. პოდგაიცევთან მტერს 3000 კაცი დააკლდა. წავართვით 4 ზარბაზანი და მრავალი ყუთი ზარბაზნის ტყვია-წამლისა, გარდა ამისა წამოვკრიფეთ მტრისგან ჰაობში მიტოვებული 9 ზარბაზანი და 16 ყუთი ტყვია-წამლისა ტომაშევის ჩრდილოეთით ტყვეთ ჩავიგდეთ 1000 კაცი, აღმოსავლეთით კი დავამარცხეთ მეთუთხმეტე დივიზია. ეს დივიზია გარშემორტყმულია ჩვენგან და გვმორჩილდებიან მთელის პოლკობით. დანარჩენ რაიონებში სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. უმთავრესი ძალები მტრისა თავს იყრის ლიუბლინისკენ, სადაც მედგარი ბრძოლაა გაჩაღებული.

**კოპენჰაგენი.** 17 აგვისტო. გაზეთები გვატყობინებენ, რომ ალბანიის მართველი ვიდი დღეს ბრინდიზის გზით გერმანიაში მიდისო. განზრახვა აქვს დაბრუნდეს წინანდელ პოლკს და გერმანიის ჯარებთან ერთად იომოს ფრანგების წინააღმდეგ.

**პეტერბურგი.** 17 აგვისტო. პარიზის სამხედრო გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, ოთხი დღის განმავლობაში დაანგრიონ პარიზის ირგვლივ მდებარე სახლები და სხვა შენობები, რომლებიც უახლოვდებიან ფორტებს. სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ლოტარინგიაში საფრანგეთის ჯარები მამაცურათ კვლავ განაგრძობენ მტერზე იერიშების მიტანასო. ფრანგებმა დაიჭირეს ლინეისა და მორტანის რაიონები. მარჯვენა ფრთით ფრანგებს იერიშები მიაქვთ. მაასთან შესანიშნავი არაფერი მომხდარა. ლანდისა, სინიესა, ნოვიონსა და პორსეინის მიდამოებში მოხდა ბრძოლა, რომელიც უშედეგო იყო. მარცხენა ფრთაზე ფრანგების ოთხმა კორპუსმა დაიწყო ბრძოლა. კორპუსების მარჯვენა ფრთამ იერიში მიიტანა და გერმანელთა მეათე კორპუსს, გიზას, აღმოსავლეთით დაახევინა. ამ კორპუსს, ეხმარებოდა ცხენოსანთა ჯარი. გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ გერმანელები ლაფერისაკენ მიიწევენ.

**ცეტინიე.** ბუდვის ახლოს, გემებიდან ნაპირებზე ავსტრიელების ძლიერი ჯარი მოვიდა ავსტრიელები შეებრძოლენ ჩერნოგორიელებს. მედგარი ბრძოლის შემდეგ ავსტრიელები ძლეულ იქმნენ და იძულებული გახდნენ, დიდის ზარალით უკან დაეხიათ.

**პეტერბურგი.** 18 აგვისტო. უმაღლეს სარდლის შტაბიდან. პრუსიის ფრონტზე, (ოსტეროდეს რაიონში) მტრის ახალი ძალები გამოჩნდნენ, ზოგ ადგილებში იერიში მოაქვთ. სამხრეთ ლიუბლინთან ჩვენმა ჯარებმაც იერიში მიიტანეს. მთელი რაიონი მოფენილია დახოცილ ავსტრიელთა გვამებით, რომელთა აკრეფაც მტერმა ვერ მოასწრო. ხელჩართული ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარებმა ბევრი დაატყვევეს და ხელში ჩაიგდეს მრავალი საომარი იარაღი, ტყვიის მფრქვეველები და ზარბაზნის გასატენი ყუთები. ჩვენებმა ხელში ჩაიგდეს აგრეთვე ავსტრიელების დროშა ლვოვისკენ, ხანგრძლივ და მედგარ ბრძოლის შემდეგ, ჩვენ ავიღეთ ფრონტი კამენეცი, გლინიანი, პერემიშლიანი და ბროხორაცი (?).

**პეტერბურგი.** 17 აგვისტო. შოტლანდიის პოლკმა მიიღო თავის მეფის, მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისაგან, შემდეგი დეპეშა: „დიდათ მოხარული ვარ, რომ ჩემი სახელოვანი პოლკი, როიალი, იბრძვის რუსეთთან ერთად საერთო მტრის წინააღმდეგ და დარწმუნებული ვარ, რომ ის დაიცავს სახელოვან წარსულს. ვუსურვებ მას მტერზე გამარჯვებას“.

ბრძოლის შემდეგ 200 გერმანელი მეზღვაური ტყვეთ წაიყვანეს. მათ შორის დაჭრილებიც არიან ყველანი ინგლისში გაგზავნეს.

**კონსტანტინოპოლი.** ენვერ-ფაშა უკეთ გახდა, სულთანმა ინახულა და შემდეგ სამხედრო სამინისტროში წავიდა.

**პარიზი.** 17 აგვისტო. 800 ახალგაზდამ სურვილი გამოსთქვეს ლოტარინგიაში ფრანგებთან ერთად ბრძოლაში მონაწილეობის მიღების შესახებ მოხალისეებათ ჩაეწერენ. ხალხი თანაგრძნობით შეხვდა მათ სურვილს, რის შემდეგაც გაემართნენ სასახლისკენ.

—✦—

## გერმანელები ბრიუსსელში.

ბრიუსსელიდან გასვლის წინ ბელგიელებმა თავის სამოქალაქო გვარდიას იარაღი აჰყარეს, რომ გერმანელთა ძალადობისაგან ეხსნათ იგი. პოლიციას ნაბრძანები ჰქონდა, ქალაქში წესიერება დაეცვა. როცა ბრიუსსელიდან უკანასკნელი ბელგიური რაზმი გავიდა, ქალაქი შიშმა მოიცვა, რაც მთელ დღეს გაგრძელდა; ღამით ქალაქი ცოტათი დამშვიდდა. არავის სახლში სანთელი არ ჩაუქვრია და დილით მტერს ელოდენ.

მტერმა დიდხანს აღარ აცდევინა. მისი არტილერია უკვე [illegible] გამოჩნდა; სასურსათო ურმები ტერვიურენის და ლუვენის გზებით მოდიოდენ.

ერთმა მოქალაქეთაგანმა თავს იდვა გასულიყო ბრიუსსელიდგან მოტოციკლეტით და მტერი დაეზვერა. მზვერავი ნაციონალურ მოედანზედ დაბრუნდა და უამბო მოქალაქეებს, რომ ერთი გერმანელი გუსარის აფიცერი ნახა, რომელიც რამდენიმე სალდათის თანხლებით და თეთრის ბაირაღით ლუვენის გზით მოდის ქალაქთან, როგორც პარლამენტიორიო.

ქალაქის მერი, ოთხ მუნიციპალურ მრჩევლის თანხლებით, პარლამენტიორის დასახვედრათ წავიდა.

გერმანიის ჯარის წარმომადგენელმა მერმა უთხრა, რომ ომიანობის დროის კანონების თანახმად ქალაქის მშვიდობიანი ხალხი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველნაირ განსაცდელისაგანო და იმედი გამოსთქვა, რომ გერმანელები ამას შეასრულებენ.

— ბრიუსსელი უნდა დაგვნებდეს, — უთხრა ამაზე გერმანელმა აფიცერმა, — თუ არა, ჩვენ ზარბაზნებს დაუშენთ ქალაქს,

მოლაპარაკების შემდეგ, გერმანელებმა მერი ქალაქის სამეურნეო ნაწილის გამგედ დასტოვეს, მაგრამ იმ პირობით, რომ გერმანელ ჯარების უფროსების ბძანება სასტიკათ ყოფილიყო დაცული. ამასთანავე, ყოველივე პასუხისმგებლობა მტრული ყოფაქცევისა ქალაქის მცხოვრებთ დაეკისრა.

შუადღის ორ საათზე ზარბაზნის სროლამ და სამხედრო მუსიკის ხმამ ბრიუსსელის მცხოვრებთ აუწყა, რომ ტრიუმფალური სვლა ქალაქისკენ გერმანელ ჯარებისა უკვე დაიწყო.

პირველ რიგში ულანები მიდიოდენ, მათ დანარჩენი კავალერია მისდევდა. შემდეგ ქვეითა ჯარი, არტილერია, საპერები და მრავალი ავტომობილები, ტყვიის მტორცნელებით შეიარაღებული.

ყოველ პოლკს წინ მუსიკა უძღოდა. აუარებელი სალდათობა „Wacht am Rhein“ და „Deutschland, Deutschland über alles“ მღეროდნენ.

ჯარები ქალაქში შემოვიდნენ და ტრიუმფალურის მარშით გაიარეს ქუჩები ჩრდილოეთის სადგურამდის. მათს კავალერიაში განსაკუთრებულ ყურადღებას „სიკვდილის გუსარები“ იპყრობდნენ. სალდათებს მუქი ნაცრის ფერი ტანისამოსები ეცვათ და გაძტვე რიანებული იყვნენ. ზარბაზნები და ურმებიც ნაცრის ფრად იყვნენ შეღებილნი.

ბევრ ახალგაზდა სალდათს დაღლილი სანახაობა აქვს. სიარულის დროს ბევრი მათგანი ვარდებოდა.

ერთ პოლკს ორი ბელგიელი აფიცერი მისდევდა. მათ ხელზედ სამაჯურები ჰქონდათ, რომლითაც გამობმულები იყვნენ დარაჯ ულანის ცხენის უნაგირზედ. ამ სურათმა ბრიუსსელებზედ სასტიკი შთაბეჭდილება მოახდინა.

გერმანული აფიცრები ხალხს არ ერიდებოდნენ, პირდაპირ მათკენ ერეკებოდნენ ცხენებსა და ხმლებით იკაფავდნენ გზას.

ერთმა ფრანგმა ქალმა დაუძახა:

— მხეცებო! (Brutes!)

გერმანელმა აფიცრებმა ისე ჩაიარეს, ვითომც ვერ გაიგეს.

სალდათები ოპერეტა „თოჯანა“-ს კუპლეტებს მღეროდნენ და სცდილობდნენ ამ კუპლეტებით ბელგიელების თავმოყვარეობა შეელახათ. ცხენების კუდები ბელგიურ ნაციონალურ ლენტებით იყო მორთული.

ერთ ცხენზედ დათვის ბელი იჯდა გენერლის ფორმაში გამოწყობილი და წარწერით — „ალბერტ“. გერმანელებმა ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადეს და ბელგიური ბაირაღები გერმანულით შესცვალეს.

სადგურები, ფოსტა და სასტუმროები დაკეტეს. სადამოსი საზარელ ხმის შუხუნებს უშვებდნენ, რამაც ხალხში შიში გამოიწვია. ამის შემდეგ გერმანელებმა ქალაქში მხოლოდ რამდენიმე ბატალიონი დასტოვეს და თვით ბრიუსსელიდან 15 ვერსის მანძილზედ დაბინავდნენ.

—✦—

## კენიგსბერგი.

პირველ ხარისხოვანი გერმანელი სიმაგრე კენიგსბერგი უახლოესი სიმაგრეა, რომლის კედლებთანაც მოუხდება ბრძოლა რუსეთის ჯარს, თუ ასე სასწრაფოთ იარა მან აღმოსავლეთ პრუსიაში.

კენიგსბერგი ძველი ქალაქია, იგი აშენებულია მეფე ოტტოკარისაგან და ჯავარონნებისაგან 1255 წელს. იმ დროს კენიგსბერგი უბრალო ციხე იყო, დღეს კი იგი დიდი ქალაქია, რომელიც დიდ ვაჭრობას მისდევს და რომლის მცხოვრებთა რიცხვი ორასი ათასს უდრის. სწორედ ეს დიდი სავაჭრო ქალაქი წარმოადგენს დღეს პირველ ხარისხოვან სიმაგრეს და საუკეთესო ბაზრად ითვლება გერმანელ ჯარების მოქმედებისათვის რუსეთის დასავლეთ საზღვარზე.

კენიგსბერგთან ერთდებიან მთავარი გზები აღმოსავლეთ პრუსიისა ლიკიდან, ტილზიტიდან, კროშენიდან, პილაუდან და მარიენბურგიდან.

კენიგსბერგს გარს არტყია 12 დიდი და 4 მცირე ფორტი, 25 კაზერტი (სალდათების თავსაფარი მიწაში) და 22 ამნაირივე კაზებატი არტილერიისთვის, რამდენიმე ბატარეა ფორტებსა და ფორტებს შორის, ლუნეტები და რედუტები, რომლებიც შეადგენენ პირველ რიგს სიმაგრისას. ყველა ეს დაშორებულია ცენტალურ ციხიდან 6—7 ვერსის მანძილზე. თვით ქალაქს გარს არტყია 1843 წელს აშენებული ცენტრალური საციხოვნო გალავანი, წყლიანის თხრილებით, ბასტიონებით, კავალიერებით და კანონირებით.

ფორტების მდგომარეობა ისეთია, რომ მთელს მიდამოზე ბრძანებლობენ, ზოგიერთ მათგანს ორმაგი საფარები აქვთ. კენიგსბერგის კაზემატები აგურით იყვნენ ნაშენი და მხოლოდ ზევიდან იყვნენ ეს შენობები გადალესილნი ბეტონებით. 1910 წელს მათი გადაკეთება მოისურვეს; რავინ იცის, მოასწრეს გერმანელებმა, უკანასკნელ ოთხი წლის განმავლობაში ეს სამუშაო, თუ არა.

ყოველ შემთხვევაში, კენიგსბერგი, რომელიც თავის ფორტებით ორმოცი ვერსის დიამეტრზე არის გადაჭიმული, მრისხანე დაბრკოლებას წარმოადგენს ყოველ მოიერიშე ჯარისთვის.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**კონსტანტინოპოლში.**

როგორც „რუს. სლ.“. აუწყებენ, მეჩეთებში ლოცვებია გამართული, რათა გერმანელებს და ავსტრიელებს გამარჯვება მიენიჭოს. ეს ამბავი იმით არის შესანიშნავი, რომ ისტორიაში ჯერ არ არის მაგალითი ოსმალეთს ქრისტიან ჯარების გამარჯვებისთვის ელოცოს.

**სოციალისტები.**

ბერლინელმა სოციალისტებმა დეპეშით შეატყობინეს იტალიანურ სოციალისტურ „ავანტი“-ს, რომ გერმანიაში ამჟამად პარტიები აღარ არსებობენ. ყველა იმ აზრით არის მოცული, რომ სამშობლო დაიცვას. დეპეშაში ნათქვამია, რომ ხმები ლიბკნეხტის დახვრეტის შესახებ სიცრუეა. ლიბკნეხტი სხვებთან ერთად ჯარში ჩაეწერა.

**რუმინია.**

მეფის თანადასწრებით მომხდარ თათბირზე მეფემ განაცხადა, რომ რუმინია ავსტრიას უნდა მიეშველოს, რადგან უკანასკნელი რუსის პროვინციებს ჰპირდება რუმინიასო. „თქვენ ღუპავთ რუმინიას!“ შესძახა ამაზედ მაიორესკუმ. მეფეს მხოლოდ ორმა მინისტრმა დაუჭირა მხარი.

**გერმანელები მეზღვაურები.**

რვაასი გერმანელი მეზღვაური რუმინიით კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა შეკითხვაზედ, რუმინიამ უპასუხა, რომ არ შეეძლო მათთვის გზა დაეშალა, რადგან საერთაშორისო უფლების ძალით, მათ, როგორც უიარაღო ხალხს და პასპორტების მქონებელთ, მუდამ შეეძლოთ ნეიტრალურ სახელმწიფოზე გზად გავლა.

## ქუთაისი

**ახალი ამბავი.**

ამას წინად ადგილობრივმა მღვდელმა, მამა მიხეილ მესხმა, აუარებელი საზოგადოების თანადასწრებით პარაკლისი გადაიხადა, რათა მიენიჭოს რუსეთის იმპერატორს და მხედრობას მტრებზე გამარჯვება. პარაკლისის შემდეგ მოძღვარმა მიჰმართა დამსწრე საზოგადოებას გრძნობიერი სიტყვით, რომელშიაც აუხსნა რა მათ ომის გამოწვევის მიზეზები, წინადადება და რჩევა მისცა ყველას დახმარება აღმოუჩინონ ომში გაწვეულთა პირების ოჯახებს. თავისი მხრით მღვდელმა გამოუცხადა ყველას, რომ ის ანთავისუფლებს ომში გასულთა ოჯახებს დრამის ფულებისაგან და კიდევაც გაუგზავნა ცნობა ამის შესახებ ადგილობრივ მამასახლისს.

✦ 21 და 25 აგვისტოს დანიშნული ხელახალი, და მისაღებ მოწაფეთა ეგზამენები დაიწყება 28 აგვისტოს.

✦ **თავ. დ. ო. ნიჟარაძე**, ქუთაისის გუბერნიის თავ.-აზ. წინამძღოლი, პიატიგორსკიდან უკვე ჩამოვიდა.

✦ ქუთ. ქართულ გიმნაზიის მერვე კლასში უკანასკნელი ეგზამენები დღეს არის გეოგრაფიასა და ბუნების-მეტყველებაში.

✦ ქალაქის გამგეობამ იმერეთის ეფისკოპოსის გიორგისაგან შემდეგი ცნობა მიიღო: „მე მინდა უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობა აღვძრა, რათა ქუთაისში ხელ-ახლათ გაიხსნას სასულიერო სემინარია. ეს აზრი მოწონებული არის საქართველოს ეგზარხოსის პიტირიმისაგან. ამისთვის უმორჩილესათ გთხოვთ, მაცნობოთ, მომავალი სემინარიისათვის ქალაქს რა დახმარება შეუძლია რომ მისცეს.“

✦ ქალაქის თავის ბ. ი. მ. ჩიქოვანისა, და სანიტარული ექიმის თანამდებობის აღმასრულებლის, ბ. ვ. წერეთლის, განკარგულებით გაასუფთავეს გევუთის ქუჩა და მისი მიდამოები.

✦ გუბერნიის სამართველო სთხოვს ქალაქის გამგეობას, აცნობოს მას ამ მდგომარე თვეში, სანოვაგე რა ფასებში იყიდება.

✦ 20 აგვისტოს საოლქო სასამართლოში გაირჩევა ვლადიმერ ბოლქვაძისა და პავლე მანჯგალაძის საქმე. პირველი ისჯება 1626 და 1632 მუხლის ძალით, მეორე კი — 286 მუხლის პირველი ნაწილის ძალით.

✦ აგვისტოს დამლევს ქუთაისში ჩამოვა თფილისის სამოსამართლო პალატის სესია, რომელიც საქმეებს გაარჩევს 1, 2, 3, და 4 სეკტემბერს.

✦ როგორც ოკრიბიდან გვწერენ, 15 აგვისტოდან იქ ძლიერ აცივებულა. თუ ასეთმა სიცივეებმა დიდხანს გასტანა წელს ცუდი მოსავალი იქნება.

✦ ბაზრის ზედამხედველის თანაშემწემ კორძაიამ, 15 აგვისტოს ოქმი შეუდგინა ჩარჩ—მოვაჭრე ილ. ქუთათელაძეს ვაჭრობის წეს-რიგის დარღვევისთვის.

✦ სანიტარულმა ფერშალმა, შავგულიძემ, ღულაძის მოედანთან და ბალახვანის ქუჩაზე სამი ურემი ცუდი ნესვი და საზამთრო დასჩეხა და პატრონს ისე დაუბრუნა.

## თფილისი.

— ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი თფილისს ჩამოვიდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. გერმანიიდან (ბადელ-ელსტერიდან) იგი გამოსულა 20 ივლისს, გზაში ყოფილა 27 დღეს. იგი წამოსულა შემდეგის გზით: შვეიცარია, იტალია, საბერძნეთი, სერბია, ბოლგარია და ოდესა.

— სტიპენდიებს ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობა 26 აგვისტოს გაანაწილებს. ჯერ ჯერობით სტიპენდიებს თხოულობს 100-დე სტუდენტი. თავისუფალია 10 სტიპენდია.

— მეფის მოადგილის კანცელარია უკვე შეუდგა თადარიგს 1915 წლისთვის კავკასიის კალენდარის გამოსაცემად. კალენდარი იქნება უფრო სრული, ვიდრე აქამდე იყო.

— კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი გუშინ არმავირიდან თფილისს ჩამოვიდა.

— ყვავილების გაყიდვის დღესასწაულის გამართვა საჭიროდ სცნო ომიანობისაგან დაზარალებულთა ოჯახების დამხმარე საქალაქო ცენტრალურმა კომიტეტმა და დაადგინა, ახლავე სთხოვოს მეფის მოადგილეს შესაფერი ნებართვა.

— ომი და სახლის პატრონები. ომში გაწვეულთა მრავალი ოჯახი ისეთ დღეში ჩავარდა, რომ ბინის ქირის გასტუმრება აღარ შეუძლიათ, რის გამოც ბევრმა ქალაქის ბიუროს სამართლიანი შიში განუცხადა, ვაი თუ სახლის პატრონებმა ბინიდან გაგვრეკონო. ამის გამო მეომართა დამხმარე ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა გუბერნატორის წინაშე, რათა გამოსცეს, როგორც რუსეთის ქალაქებში, სავალდებულო დადგენილებანი, რომლითაც სახლის პატრონებს აეკრძალებათ გაჭირვებულ მდგმურების სახლიდან დათხოვნა. გაჭირვების მოწმობას ასეთს მდგმურებს თვით კომიტეტი მისცემს.

— **კახეთის რკინის გზაზე** მუშაობა, რომელიც დროებით შეწყვეტილი იყო მობილიზაციის გამო, კვლავ განახლდა. გურჯაანიდან წნორის წყლამდე რელსები დასაგებია მხოლოდ ორის ვერსის მანძილზე, ხოლო გურჯაანიდან თელავამდე — 18 ვერსის მანძილზე. იმედი აქვთ, მუშაობა შემოდგომისათვის დასრულდება.

**ტრამვაი.** ამ ჟამად თფილისში მუშაობს 72 მოტორიანი და 13 მიბმული ვაგონი. ვაგონების სიმცირე საგრძნობი ხდება განსაკუთრებით საღამოობით, როდესაც ხალხი სახლიდან გამოდის.

## თათბირი გუბერნატორთან.

შაბათს, 16 ივლისს, საღამოს 8 საათზე ქუთაისის გუბერნატორის ინიციატივით გუბერნატორის ბინაზე შესდგა თათბირი ომში გაწვეულ [illegible] დამხმარე კომიტეტის [illegible] დაესწრო თვით გუბერნატორი კამერიუნკერი ბ-ნი პოტულოვი, იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გიორგი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავად. დ. ო. ნიჟარაძე, ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი ვენცელი, წარმომადგენელნი მთავრობის ყველა უწყებათა, ქალაქის თვითმართველობისა, სამრეწველო დაწესებულებათა და პრესისა.

თათბირზე განხილულ იქმნა საკითხი, თუ რა სახით მოეწყოს დახმარება ომში გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახებისა. თათბირმა გადაწყვიტა, რათა კავკასიის კომიტეტის გარეშე დაარსდეს საგუბერნიო კომიტეტიც, რომლის სამოღვაწეო ასპარეზი ქუთაისის გუბერნია იქნება.

დაწვრილებით ცნობებს, როგორც კომიტეტის შემადგენლობაზე, ისრეთვე მის სამოქმედო გეგმაზე ამ დღეებში დავბეჭდავთ.

## ახირებულია.

(ონიფანტე სვანიძეს და იასონ მოდებაძეს.)

ქართული ანდაზა ამბობს: „თუ პილპილი არ გიჭამია, პირი რად გეწვისო“. სწორეთ ასე ეთქმის თქვენს საქციელსაც, პეტრე-პავლეს ეკლესიის პატივცემულნო მღვდელმსახურნო! ჩემ წერილში, რომელიც მოთავსებულია „იმერეთის“ 123 ნომერში, სხვათა შორის მე შევეხე წყალ-გალმა ნაწილის ზოგიერთ ეკლესიებში მომხდარ უწესოებათ და ასეც საზოგადოთ, არავის პირადობას არ შევხებივარ და არც ვინმე დამისახელებია, ხოლო იქ მოხსენებულ შენიშვნებში ზოგიერთი ამგვარი დაბალნი მსახურნი ეკლესიისა დაინახავდნენ თავის სახეს; მიკვირს, რომ ყველაზე უწინ თქვენ, პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელმსახურებმა, „პილ-პილ ნაჭამივით“ პირ გახურებულნი ახმაურდით და ომი გამომიცხადეთ, რითაც თქვენ ახლა უფრო შეიყვანეთ ეჭვში მკითხველი საზოგადოება. ბრძანებთ: „ზემოხსენებული ბრალდების წამოყენებისა გამო, ვცნობთ რა თავს შეურაცხყოფილათ, ვიწვევთ მარი-ოლის სამედიატორო სამართალშიო“ („იმერეთი“ № 127). არ გაგეცინება მკითხველო? მე საზოგადოთ შევეხე ზოგიერთ მღვდელმსახურთა საქციელს, ონიფანტე სვანიძე და იასონ მოდებაძე კი შეურაცხყოფილად სცნობენ

## შვილო, ხომ არა გეტკინა რა!

(ლეგენდა) *)

ჭაბუკი ველად გაიჭრა...

ვერ შესძლო ჩაეკლა სიყვარული თავის მოსისხლე მტრის ასულისა...

მტრის ასული მთელი მისი სიცოცხლე იყო! იგი თავს დაჰხაროდა მას, დაჰხაროდა, როგორც მთის სიო დაჰხარის ხოლმე ბარში ყვავილებს.

ჭაბუკმა სამშობლოს უღალატა, დაგმო იგი და მტრის ასულთან შეჰქმნა თავის სამყარო...

ერს სძულდა სამშობლოს გამყიდველი და ჭაბუკიც გაურბოდა თვით თანამოძმეთ.

შეყვარებულნი მდინარის პირას ისხდენ. ჭაბუკი შეჰხაროდა ნაზ ასულს და მძლავრად მკერდზე იკრავდა...

მდინარეც ნანას უმღეროდა თავის ლიკლიკით და უამბობდა სამარადისო ზღაპარს სიყვარულისას.

და როცა ვაჟის ტუჩიდან მოწყვეტილი კოცნა მდინარეს ხვდებოდა, ზანტათ იღხეოდა და ვნებით დამთვრალი ნაპირს ეკონებოდა.

მთვარეც უდარდელად თვალს ავლებდა სამყაროს, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, რაც ცოდვილ დედამიწაზე ხდებოდა.

შეყვარებულნი კი კვლავ ეკვროდენ ერთმანეთს, კოცნით აპობდენ ნელ სიოს, რომელიც მათ ნაზად ეალერსებოდა.

მდინარეც გულში იხუტებდა ტრფობის ვნებას, ზანტათ იზმორებოდა და შურით შესცქეროდა შეყვარებულთ, და შეძრწუნებული მარტოობით ნაპირს ეხეთქებოდა...

ვნების ქსელში გახვეული მოტრფიალენი ერთმანეთს ეკვროდენ, ხანგრძლივი კოცნით მთვრალნი, სიყვარულის ნექტარს სვამდენ. იგინი ბედნიერნი იყვნენ...

მთვარის შუქმა შავს აჩრდილს მოჰკრა თვალი, რომელიც ნელის ნაბიჯით შეყვარებულთ უახლოვდებოდა.

შუქი მას მიესალმა...

შავი აჩრდილი გაჩერდა.

ფეხშიშველა, თავზე ლეჩაქ მოხთილი, დაძონძილი ტანისამოსით იდგა იგი.

ფეხები დასისხლიანებული, ჰუჭყიანი ქონდა.

აჩრდილი შესცქეროდა შეყვარებულთ. მისი სახე ნათელი იყო, ვით სხივი მზისა, მწუხარებით სავსე იყო მისი თვალები.

— „შვილო!“... დაუძახა აჩრდილმა.

შეყვარებულნი შეკრთენ, თითქოს თავზე მეხმა დასჭექაო.

ჭაბუკი კრთოდა... კანკალმა აიტანა...

— „შვილო“, სამშობლო გეძახის... ნუ უღალატებ მას, დასტოვე სატრფო, იგი მტრის ქალია. მიხედე შენ დავრდომილ ერს, შენს სამშობლოს, რომელიც უსჯულოთ დააქციეს. შეგინებული ტაძარი ღვთისა აღადგინე, იხსენი შენნი ძმანი წარმართთაგან და ენა შენი მტარვალისაგან რადგან აღარ ისმის იგი შენს სამშობლოში. აღარ აქვს მოძმეს მიწა, რათა დამარხოს შვილი თვისი.

უკუ აგდე სიყვარული მტრის ასულისა და შენი მშობლის ლეჩაქის ამხდელს შეებრძოლე. შენი ერი დღეს ქვითინებს და მოსთქვამს თავისა ბედსა... და ეყოს ტირილი და ცრემლი თვალთა მისთა და მონა იგი გაანთავისუფლე.. იბრძოლე და ბრძოლაში ჰპოებ შენს სამშობლოს დროშას, დღეს ჯამბაზთა ხელში გასვრილს... ისმინე შვილო ერის ვედრება“. ჭაბუკი ტრთოდა, კანკალობდა... ადგა, მივიდა მშობელთან, დაიჩოქა და უთხრა: „— დედი! მაპატიე, მე ეგ არ ძალმიძს. მე სიყვარულს ვერ ვუღალატებ.:. იგი ჩემია, იგი მე მეკუთვნის... მე, დედი, ამით ვცოცხლობ. მე მით ნეტარებას ვსვამ, ვსტკბები და კმაყოფილი ვარ ჩემი თავისა... სხვას არა ვსჩივი, მე ჩემით ვცხოვრობ“. აჩრდილი შეტორტმანდა... უკან დაიხია. — „— გონს მოდი, შვილო!“ დამეკარგე, აქედან“ შეჰყვირა დედას ბ ხელი ჰკრა. მე მაინც გიცდი ქოშის გორასთან... მებრძოლები იქ გროვდებიან..

აჩრდილიც წავიდა თავის ნელის ნაბიჯით.

ასული, როგორც გველი, ყრმას შემოეხვია, გულში იკრავდა და ვნებით სწვავდა ჭაბუკს.

— „შენ მშვენება ხარ... ყოველივე ხარ ჩემთვის“. ჩასჩურჩულებდა ჭაბუკი ასულს.

— „მითხარი, მიბრძანე, რაც გსურდეს, რომ შენ მონამ აგისრულოს. თვით სიცოცხლეს არ დავიშურებ შენთვის, რადგან შენ სიცოცხლე ხარ ჩემთვის, ჩემო ღვთაებავ“.

და ვნებით დამთვრალი ჭაბუკი ასულს კოცნიდა..: გულში იკრავდა... იხუტებდა — „აბა მიბძანე, ჩემო ღვთაებავ“.

— „შენ, საყვარელო დედა, უნდა მოგკლა“. უთხრა ასულმა.

ჭაბუკს თავბრუ დაესხა — „დიახ შენ უნდა მოჰკლა დედა შენი და მისი გული, სისხლით მჩქეფარე გული, აქ მომიტანო. მე მით უნდა დავსტკბე.. მე მინდა ეს, ჩემო ლამაზო, მისთვის, რომ დავსაჯო ის, ვისაც შენი თავის მოტაცება სურდა ჩემთვის“.

ასულმა ყრმას თვალებში ჩახედა... ვერ გაუძლო ასულმა ჭაბუკის მრისხანე თვალებს, თავი დახარა მის მუხლებზე...

ჭაბუკს ენა წაერთვა... უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა, რაღაც იდუმალ ძალს იგი დაეტყვევებია.. იგი ხმას არ იღებდა. — „უნდა მოჰკლა“. ჩასჩურჩულებს ჭაბუკს ასული, თან ეხვევა, ჰკოცნის, იკლაკნება მის მუხლებზე, როგორც გველი ცხელ ქვიშაზე, ეხვევა და კვლავ იკონებს თავის მკერდზე.

— ,,ხომ მოჰკლავ, ჩემო საყვარელო?“ და ვნებით სავსე თვალებით შეაცქერდა ჭაბუკს ასული...

ასული სთხოვდა, ემუდარებოდა, უბრძანებდა მას...

ვერ გაუძლო ქალის თვალებს, თავი დაღუნა, ტუჩით ტუჩს მიეკვრენ და ხანგრძლივი კოცნა იყო პასუხი ჭაბუკისა...

ყაყაჩო და თვალ-ჟუჟუნა ყვავილნი დასჭკნენ, — მიწას გაეკვრენ...

სიოც შეჩერდა, თითქოს შერცხვა, რომ წინად ქალ-ვაჟს ეალერსებოდა...

მდინარემ შავი მანდილი წამოისხა და ჩუმათ მიიპარებოდა...

მთვარე არსად სჩანდა... — „წადი, მოჰკალი, საყვარელო“!

კოცნამ გაიხმაურა...

ჭაბუკი სადღაც წავიდა...

მდინარის პირას წამოწოლილი ასული მთვარის შუქის ბანაობას უცქეროდა...

იგი ვნებით დამთვრალი წყლის ზოლებს ჩასცქეროდა, თითქმის ახლა მათი ჩახუტება სურს.

ნელი სიო ოდნავ ულელავდა თეთრ გულმკერდს და ოდნავ ეამბორებოდა მის მშვენიერ სახეს...

ასული სატრფოს უცდიდა...

მან რამდენჯერმე გახედა ჭაბუკის გზას; ჭაბუკი არ, სჩანდა...

ასული აღელვებამ აიტანა.

დამარცხებულად არ გრძნობდა თავს, მაგრამ შიში ბრძოლისა კი არ ასვენებდა.

სევდით კვლავ შეხედა ჭაბუკის გზას და, რა დაინახა მომავალი ჭაბუკი, შეკრთა... მთელი მისი არსება ჭაბუკის ხელებს შეაჩერდა. ასულმა რა იხილა ჭაბუკის ხელში გული, გაიღიმა და სიყვარულით სავსე თვალნი ჭაბუკს მიაპყრო. — „აჰა, საყვარელო, გული შენი მტრისა“, და რა სურდა ჭაბუკს მიეცა სატრფოსთვის გული დედისა, ფეხი ქვას წამოჰკრა და დაეცა...

დედის გული მიწაზე დაეცა და გორვით ტალახში ჩავარდა. ჭაბუკი წამოხტა, მივარდა დედის გულს და, რა უნდოდა აეღო იგი, — გულმა დედისამ უთხრა ჭაბუკს.

— „ვაი, დედასა შვილო, ხომ არა გეტკინა რა?!

ჭაბუკი შეკრთა... გაქვავდა მისი გული და ცივმა ყინვამ მოიცვა მისი სისხლი ძარღვებში...

აი, მეგობარო, ხომ ხედავ ამ ადგილს, აქ ერთს დროს მდინარე ქუხილით მოდიოდა, მაგრამ რა კი აქ ცოდვა მოხდა, მდინარეც გაპარულა და მარტო გზათ დარჩენილა მისი კვალი.

იქით, წყაროს ზევით, რომ დიდი ქვა არის მძიმეთ გაწოლილი, ეს სატრფოა ჭაბუკისა, აქეთ კი დაყრდნობილი რომ არის დიდი ქვა, ის ჭაბუკია, რომელიც დაჰყურებს დედის გულს ტალახში გასვრილს, დღეს ია-ვარდით შემკულს. წყარო კი, რომელიც ლიკლიკით გადმოდის, ცრემლებია ჭაბუკის დედისა, რომელსაც აფრქვევს თავის შვილზე...

და, როცა მდინარე დაიძინებს ხოლმე შუა ღამისას, მაშინ კვლავ ისხამს ქვა ხორცს, ჭაბუკი ეტრფის სატრფოს, სატრფოც მიილტვის ჭაბუკისაკენ და ცრემლნი დედისანი გაჩერდებიან...

და რა გაიღვიძებს მდინარე და წყაროც ლიკლიკით შეეხმაურება არემარეს, კვლავ იგინი ქვავდებიან და ცრემლნი დედისანი შეუჩერებლივ გადმოდიან...

ამბობენ, რომ დედის ცრემლნი შეჩერდებიან მხოლოდ მაშინ, როცა შვილი მისი გზას იპოვნის და მისგან დანგრეულ ტაძარს აღაშენებსო...

აი, მაშინ დაისვენებს დედა საბრალო და მაშინ შეაშრებიან ცრემლნი თვალთა მისსა.

მაგრამ როდემდის იღვრენ ცრემლნი დედისანი?

კოლა ანდრიაშვილი.

*) ამ ლეგენდას რამდენიმე ვარიანტი აქვს. ერთი მათგანი გალექსილი აქვს, სხვათა შორის, აკ. წერეთელს. რედაქცია.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქ უ თ ა ი ს შ ი.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, ზოგიერ ფასებში საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის ჯიბის დანები,
მიღებულია და იყიდება
პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამზარეულო ღუმელები (პრიმუსი), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადღი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

თავიანთ თავს. „ქურდს ქუდი ეწვისო“ — ისეა მაგათი საქმეც! განა შეგიძლიათ, შეურაცხყოფილნო მედავითნეებო, ფიცს ქვეშა სთქვათ, რომ წყალ-გამა ნაწილში არც ერთ ეკლესიაში არა ჰქონია ადგილი და არც ექნებოდა ასეთ უწესოებას?! განა შეგიძლიათ უარყოთ, რომ ზოგ ზიარების დროს ეკლესიის დაბალ მსახურთ ტომრებით შემოაქვთ სებისკვერი, სამკაპიკიანს შაურად ჰყიდიან და ვაჭრობენ ეკლესიაში?! განა ეკლესია სავაჭრო სახლია?! მეტს აღარაფერს ვიტყვით... კიდევ გადაიკითხეთ ჩემი პირველი წერილი, მერმედ კარგად ჩაუკვირდით თქვენს არამკითხედ გამოსვლას და განგაშის ატეხას და შემდეგ ამ ჩემ უკანასკნელ სიტყვებსაც; რაც შეეხება მას, რომ სამართალში მიწვევთ, გიპასუხებთ შემდეგს: თქვენ არავითარი უფლება არა გაქვთ, ჩემს გულში ხელები აფათუროთ, და ან სამართალში გამიწვიოთ, როდესაც მე თქვენს პირადობას და არც იმ ეკლესიის მედავითნეებს, სადაც თქვენ სახურებთ, არ შევხებივარ; ამიტომ არც გეთანხმებით და არც დროს ვკარგავთ თქვენთან სამართალ პოლემიკისათვის; თვითონ თქვენც დამეთანხმებით, რომ თქვენი ახმაურება და გამოსვლა რაღაც ახირებული მეტიჩრობით არის გამოწვეული.

—

ახლა ორიოდე სიტყვა მამა ალექსანდრე შანიძესაც:

,,მარი-ოღლის შენიშვნა შესახებ მედავითნეებისა, ვითომ ისინი საკურთხკორკოტ-პასკა-ზედაშის გაყოფის დროს ჩხუბს და ალიაქოთს ახდენენ, ჩვენა გვგონია, რომ უსაფუძვლოა და სხვა...“ ბრძანებს მამა დეკანოზი.

მაგრამ მე მოვახსენებ, რომ ეკლესიის დაბალ მსახურთა შესახებ ჩემი შენიშვნა თქვენ გგონიათ უსაფუძვლო, მაგრამ მე კი მგონია, რომ საფუძვლიანია, რადგანაც ხშირად მე თვითონ ვყოფილვარ ამისი მოწმე, თორემ მედავითნეების ინტერესი მე არავითარი არა მაქვს, და არც კორკოტ-საკურთხი მაქვს მათთან გასაყოფი; თქვენ შეგიძლიათ ილაპარაკოთ, რომ თქვენი ეკლესიის კრებული ჩემი შენიშვნის გარეშე რჩება, მაგრამ, საზოგადოთ, მედავითნეების შესახებ შენიშვნას თქვენ რომ „უსაფუძვლო“ უწოდოთ, ამის საბუთი თქვენ არა გაქვთ.*)

**მარი-ოღლი.**

*) რადგანაც ბ-ნ მარი-ოღლის წერილი პირადათ არავის ეხებოდა, ამიერიდან რედაქცია ყოველ გვარ კამათს სპობს ამ საკითხის შესახებ.

რედაქცია.

## მკითხველი საზოგადოების საყურადღებოთ.

ნახევარ თვეზე მეტია, რაც ჩვენი გაზეთის გამოცემა შეჩერდა. პირველათ ამის მიზეზი ქუთაისში ქაღალდის უქონლობა იყო. ჩვენ ეს დაბრკოლება გადავლახეთ, ქაღალდი ბათუმიდან მოვიტანეთ და შემდეგისათვისაც ამ მხრით უზრუნველ ვყავით გამოცემის საქმე. მაგრამ, საუბედუროთ, წინ უფრო დიდი დაბრკოლება გადაგვეღობა. აგენტებისა და ხელის მომწერთა უმრავლესობამ თვის ბოლოს ანგარიში არ გაასწორა და არც დღეს ფიქრობენ გასწორებას და, ამგვარათ, ასეთ დროს გვისპობენ საშუალებას განვაგრძოთ გამოცემა. ჩვენ კიდევ უცდით მათ ამ თვის 25-დის; ამის შემდეგ კი მათ სახელსა და გვარს გაზეთებში გამოვაქვეყნებთ. დაე, მაშინ, თვით საზოგადოებამ დასდოს მათ მოქმედებას მსჯავრი.

ჩვენი მხრით პირველ შეძლებისთანავე ვეცდებით განვაახლოთ გაზეთის გამოცემა.

**გაზეთი „ჩვენი აზრის“ რედაქცია.**

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ.

## ცოტა რამ უწესოება ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში.

არა ერთხელ ვყოფილვარ აქაურ კათოლიკეთა ეკლესიაში და სწორეთ რომ აღტაცებაში მოსულვარ იმ წესიერებით, რომელიც ამ აღნიშნულ ეკლესიაში არის გამეფებული.

მაგრამ ამ ბოლო დროს რაღაც არა სასიამოვნო ამბები ხდება, რომელსაც ეკლესიის მოძღვარი, პატივცემული მამა დამიანე, თუ ხელს არ უწყობს, ყურადღებასაც არ აქცევს, და ამდაგვარ უწესოებას დიდი დისონანსი შეაქვს ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაში.

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანო“ — ნათქვამია ქართულათ, და ამისათვის მინდა მამა დამიანეს მიუთითო ამ უწესოებაზე, ვინაიდან ასეთი ამბები დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს არამც თუ მხოლოდ ქართველ-კათოლიკეებში, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებაშიც. მე მიკვირს, რისთვის თვით ქართველი კათოლიკენი არ მიაქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას. თუმცა ამას წინათ ლაპარაკი მომიხდა კათოლიკე ახალგაზრდებთან და როდესაც მათ მივმართე, თუ რისთვის ახალგაზრდები არ მიაქცევთ მეთქი ყურადღებას, იმათ განმიცხადეს, რომ ჩვენ, რაც შეგვიძლია ვცდილობთო, ყველაფერს ქართული ელფერი მივცეთო, ეკლესიასთან არხივიც მოვაწყვეთო და სხ. და ახლა ჩვენ არ გვინდა, რომ ეს ამბები გარეთ გავიდეს, ეგებ როგორმე მოვაგვაროთ საქმეო.

მის შემდეგ განვლო ორმა თვემ, და აი, ახლა კვლავ წავაწყდი ზოგიერთ უწესოებას. მოვუწოდებ იმ ორ-სამ ახალგაზრდას, შესწევთ ღონე დუმილი და ამცნონ საზოგადოებას, რაშიც არის საქმე; მე კი ჩემის მხრით, რაც ვიცი, იმას ვაუწყებ საზოგადოებას:

1) კათოლიკეთა ეკლესიაში წირვას მღვდელი ლათინურათ ასრულებს, მხოლოდ სახარებას წაიკითხავს ქართულათ. გალობა კი ლათინურია, მაგრამ აქამდის გალობდენ ალაგ-ალაგ ქართულათაც. ახლა კი ჩამოუყვანიათ ვიღაც პოლონელი ორღანის დამკვრელი, რომელმაც თავისი არა სასიამოვნო გალობა შემოიღო. ქართული გალობა, რომელსაც წირვის დროს ხალხი ხანდახან ისმენდა თანდათან მოისპო, და ახლა გესმის რაღაც პოლონურ ჰანგებზე აწყობილი ლათინური გალობა. ერთხელ, კვირა დღეს, წირვას დავესწარი და, როგორც რომ მოისმა ასეთი გალობა, მთელი ახალგაზრდობა და რამდენიმე ხანშესული პირი ეკლესიიდან გამოვიდა. ძლიერ აღელვებულნი იყვნენ.

რა დაგემართათ-მეთქი? — ვკითხე ახალგაზრდებს.

რაღა რა იყო, თავი გვეჭრება საზოგადოებაში, თითო ვიღაც ჩამოვა და თავზე წამოგვაჯდებაო, — იყო პასუხი.

ამის შესახებ თურმე რამოდენიმეჯერ განუცხადეს მღვდელს, მაგრამ, როგორც ეტყობა, მას ყურადღება არ მიუქცევია ამ განცხადებაზე.

2) დასაფლავების დროს საზოგადოთ მღვდელი ფეხით მიჰყვებოდა ცხედარს. ახლა, რაღაც გადაწყვეტილების ძალით, რომელიც 5—6 კაციდან შემდგარმა კრებამ დაადგინა, მღვდელი, ავა თუ არა აღმართზე, ჩაჯდება ეტლში და ისე მიემგზავრება სასაფლაოზე. სწორეთ რომ ესეთი გადაწყვეტილება არა სასიამოვნოა, ვინაიდან უპატივცემლობაა მიცვალებულისა და მთელი საზოგადოებისა. რაღაც კვირაში ერთხელ მოუხდება მღვდელს მიცვალებულის გაცილება სასაფლაოზე და ისიც ეტლით მიემგზავრება. არ არის კარგი. მესმის, რომ დიდი ტალახი იყოს, ან და წვიმა, მაშინ კიდევ შეიძლება, მაგრამ როდესაც ესეთი დამაბრკოლებელი მიზეზები არ არის, რისთვის უნდა მოიქმედოს ასე მღვდელმა, არ ვიცით. მამა-პაპის დროიდან როგორც ყოფილა, ჩვენ გვგონია, ახლაც ისევე უნდა იყოს. მღვდელი მრევლისათვის არის, თუ მრევლი მღვდლისათვის — ვერ გაგვიგია.

3) კიდევ გალობაზე... როდესაც დავესწრებივარ პანაშვიდს, ან მიცვალებულის წირვას, გალობა ყოველთვის ყოფილა მხოლოდ ქართული. ახლა კი (მაგ. 16 აგვისტოს დავესწარ წირვას) გალობა სულ ლათინურია. რას ნიშნავს ეს? სად უნდა ვეძებოთ ამის მიზეზი?

ვინ გვაძალებს გინდა თუ არა ლათინურათ ვგალობდეთო? თუ კი აქამდის ყოფილა ქართული, რა არის ახლა რომ შეიცვალა?

აქაურ კათოლიკეთა ეკლესიის მრევლმა ამ გარემოებას უეჭველად ყურადღება უნდა მიაქციოს, მით უმეტეს, რომ უდიდესი ნაწილი მრევლისა შეგნებულ ნაწილათ ითვლება ქართველ საზოგადოებაში.

კმარა სიჩუმე...

**კეთილის მსურველი.**

## დაბა-სოფელი.

**სოფ. აბაშა** (სენაკის მაზრა). თუთხმეტი-ოცი წლის წინათ სოფ. აბაშაში, ირაკლი თოფურიძის პასუხისმგებლობის ქვეშ, გაიხსნა სამკითხველო, სადაც ყოველდღე ნახავთ თავმოყრილ ხალხს. ერთს უკავია ჟურნალ-გაზეთი და კითხულობს ხმა-მაღლა, დანარჩენნი უსმენენ დიდის ყურადღებით, აძლევენ სხვადასხვა შეკითხვებს, რომელზედაც ღებულობენ ჯეროვან პასუხს, ან მართავენ მსჯელობას და არკვევენ საკითხებს, ასე რომ, მთელ აბაშას შეატყობთ გამოფხიზლებას. ლროა აწი, რომ ბოლო მოუღოს ჩვენს ჯიბრიანობას, მივყვეთ ერთიმეორეს და შევუდგეთ საქალებო შკოლის აშენებას, თორემ გვიახლოვდება ეკენისთვე და ორი პაწია, ისიც ნაქირავებ ოთახის იმედით ვრჩებით, სადაც ყოვლად მოუხერხებელია მეცადინეობა ხუთ განყოფილებაში და წლის ბოლოს დავრჩებით მოტყუებული, დაგვრჩება მოუმზადებელი მოწაფეები. მთავრობის დაუხმარებლადაც შეგვიძლია ადგილის შერჩევა, მხოლოდ თანხმობაა საჭირო.

30 ივლისს ნაშუადამევს, სოფელ აბაშის ერთ მხარეს, ეწვია ერთი არშინის სიმაღლე წყალი, მდინარე აბაშიდან და ცხენის წყლიდან. მაგალითადაც არ ახსოვს არავის ასეთი წყალი აბაშაში. მთელი ყანები გადარეცხა და ოჯახებსაც დიდი ზარალი მიაყენა წვრილფეხა საქონლისა. წყალში იჭერდენ საქონელს და მაღალ შენობებში მიყავდათ, ხაბაკებიც ბევრი წაიღო, რომელსაც მესამე დღეს ეძებდენ მინდვრებში. რადგან მეორე დღეს, 31 ივლისს, საღამომდი წყალს არ დაუკლია.

ამ სოფელში თავი ისახელა ერთმა მცურავმა, მიხა ჰანტურაიამ, რომელმაც დახრჩობას გადაარჩინა მეწისქვილე ქოიავა. ჰანტურაიამ მეწისქვილე ჩამოიყვანა წისქვილის სახურავიდან. ასეთი გაბედულობით მთელი საზოგადოება აღფრთოვანებაში მოიყვანა.

**ფახუშვილი.**

—

**ს. ოფშკვითი.** (ქვემო იმერეთი). ყოველი პიროვნება, მიუხედავათ — რჯულისა, წოდებისა, სქესისა და სხვ., ვინც მხოლოდ კი იმყოფება რუსეთის სამეფოს მფლობელობაში გაიგონებდა, მე მგონია კი გაგებული აქვთ კიდევაც დღევანდელი მათი მდგომარეობა. ამ დროს, როგორც ბევრ ადგილიდან გვესმის, ყველა გამხნევებული ლოცვა-კურთხევით იხსენიებს მათ და მოუწოდებენ სასიხარულოთ დაბოლოვებას. უპირველეს ყოვლისა, რომ უფრო გულ-წრფელათ, სიხარულით შეეგებოს მას თითქმის ის უბრალო ოჯახიც, რომელსაც არავითარი სახსარი არა აქვს თავი გაიტანოს, ასეთ დროს, (მით უმეტეს მათი მარჩენელი შვილები წაყვანილი არიან ჯარის-კაცათ) გვეჭირვება შინაური ერთი-მეორის დახმარება. მაგრამ დახე ჩვენ უბედურებას, როგორც სხვა სოფლებში, ისე აქაც არიან წვრილი ვაჭარ-მედუქნეები, რომლებიც სულ სხვა მიზნით უყურებენ ამ არაჩვეულებრივ დროს და არა ისე, როგორც ჩვენ მოვიხსენიეთ. ეს პირები, როგორც ნათლად ირკვევა, გაკეთებას რომ იტყვიან, შესაფერ დროში გრძნობენ თავს. თითქმის ივლისის შუა რიცხვებიდან, როცა არაფერი ვიცოდით ომის შესახებ, ამ ვაჟბატონებმა აუწიეს, როგორც სხვა ნივთებზე, ისე ყოველ უსაქიროეს საგნებზე ფასი, ისე რომ ყიდვა ყველასაგან შეუძლებელი შეიქნა გააორკეცეს ფასები. რული, რომელიც იყიდებოდა აქამდი სამშაურათ ან თვრამეტ კაპიკათ, დღეს იყიდება 30 კ. ან 27 კ. ოყა. მარილი ფუთი, რომელიც იყიდებოდა ორ აბაზათ დღეს 75 კაპ. ნავთი, გირვანქა რომელიც იყიდებოდა 5 კ. იყიდება 10 ან 12 კ. შაქარი, რომელიც იყიდებოდა 18 კ. ან 20 კ. იყიდება 30 კ. გირვანქა. საპონი გირვანქა, რომელიც იყიდებოდა 13—14 კ. იყიდება 20 და უფრო მეტათაც. ჩვენ გვეგონა, აწი მაინც მიაქცევდენ ყურადღებას იმ მთავარ-მართებელთა განცხადებებს, რომელნიც მოთავსებული იყო გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ ამაოთ, იმათ ყურამდი გაზეთის ამბავიც არ მიდის. ბოლოს ასე ვაცხადებთ და ვთხოვთ ადგილობრივ ხალხსაც, ადმინისტრაციასაც, მიაქციოს ყურადღება ამ ვასბატონების თავ-გასულობას. თუ საჭიროებამ მოითხოვა და მათ თავი არ დაანებეს სანოვაგის გაძვირებას, მათი ვინაობა გამომჟღავნდება.

**Haditant.**

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

ექიმის იკ. ბოკერიას

საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

— „იმერეთი“ —

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 ლისათვის

გაზეთის ფასი:

| | |
|---|---|
| ერთი წლით | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| ერთი თვით | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისჴ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. $^1/_2$ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція ,,ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით გ. მ. არჯავანიძე.

მ უ შ ა ო ბ ს

ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ყორყოლაძეების

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარეიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის ,,სტანცია სერნია ვოდის“.

ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: გ. გ. გიგინეიშვილი.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, სახლი გოკიელოვის.